საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №223
2019 წლის 17 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-4 მუხლის:**

ა) **მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;**

ბ) **5^2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

2. **მე-20 მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტები ამოღებულ იქნეს.**

3. **23-ე მუხლის:**

ა) **მე-2 პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ხ) „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართ VI-ში მითითებული საქონლის (სამშენებლო პროდუქტები (ცემენტი, პლასტმასის მილები, არმატურა, ელექტროკაბელები)) იმპორტის შემთხვევაში – საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შევსებული და დადასტურებული „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“. ამასთან, „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარ შეტყობინებასთან“ ერთად ელექტრონულად წარდგენილი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება საქონლის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობა, მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან, რომელიც ვალდებულია, მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი საგადასახადო ორგანოს.“;

ბ) **მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით წარედგინება შემოსავლების სამსახურსა და სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს.“;

გ) **მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 20 ივლისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**